

გიორგი ჭილაძე

### სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი ასპექტი

სამართლებრივი კულტურა საზოგადოებრივი ცხოვრების რთული ფენომენია და მოიცავს სოციალურ სისტემასთან დაკავშირებული ორიენტაციების, განწყობების, მიზანდასახულობების ელემენტებს. იგი გამოხატავს სამართლის და კულტურის ორგანულ ერთიანობას; მისი შესწავლის აუცილებლობა საზოგადოების სოციალ-სამართლებრივი განვითარების მოთხოვნილებიდან მომდინარეობს; მისი ცალკეული ელემენტების შესწავლით შესაძლებელია გავერკვეთ სახელმწიფოს სამართლებრივად მართვის ხელოვნების საიდუმლოებაში და ერთიმეორეს დავუკავშიროთ ადამიანთა მოღვაწეობის სამართლებრივი და კულტურული სფეროები.

კატეგორია „სამართლებრივი კულტურა“ გამოიყენება ქვეყნის მთელი სამართლებრივი ზედნაშენის, სამართლებრივი სისტემის დასახასიათებლად. თუმცა, შეფასების გარკვეული კუთხით. საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ანალიზისას ძირითადი აქცენტი უნდა გადავიტანოთ, მთლიანობაში, სამართლებრივი ფენომენების განვითარების დონის შესწავლაზე, სამართლებრივი ფასეულობების, იდეალებისა და მიღწევების განმარტებაზე, რომლებიც მოცემულ საზოგადოებაში ასახავენ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მოცულობას, მისი დაცვის ხარისხს.

„სამართლებრივი კულტურის“ ცნება ყოველთვის გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოების სამართლებრივი ცხოვრების „შეფასებას“ და მის შედარებას ყველაზე განვითარებულ სამართლებრივ ნიმუშებთან, იდეალებთან და ფასეულობებთან.

ჩემი აზრით, საზოგადოების სამართლებრივი კულტურა, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია მოსახლეობის სამართლებრივ შეგნებაზე. იმაზე, თუ რამდენად ღრმად აქვს მას შეთვისებული ისეთი სამართლებრივი ფენომენები, როგორცაა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ფასი, დავის დროს სამართლებრივი პროცედურების მნიშვნელობა, კომპრომისების მოძებნის უნარი და ა.შ., სამართლებრივად რამდენად არის ინფორმირებული მოსახლეობა, სოციალური, ასაკობრივი, პროფესიული და სხვა ჯგუფები, როგორია მოსახლეობის ემპირიული დამოკიდებულება კანონის, სასამართლოს, სხვადასხვა სამარ-

თალდამცავი ორგანოს, იურიდიული საშუალებებისა და პროცედურების მიმართ და ა.შ. ამ დახასიათებაში მნიშვნელოვნად უნდა მივიჩნიოთ სამართლებრივი საქმიანობის განვითარების დონე. იგი შედგება მეცნიერ-იურისტების თეორიული საქმიანობისაგან, იურიდიული პროფილის სასწავლო დაწესებულების სტუდენტთა საგანმანათლებლო საქმიანობისაგან; პრაქტიკული საქმიანობისაგან – სამართალშემოქმედებითი და სამართალსარეალიზაციო საქმიანობიდან, მათ შორის სამართალგამოყენებითი საქმიანობიდან. საზოგადოების სამართლებრივი კულტურა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სამართალშემოქმედებით საქმიანობის დონესა და ხარისხზე. სამართალგამოყენებითი საქმიანობის ხარისხი კი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე, როგორც ინსტიტუციონალურ (სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა, მისი ორგანოების ურთიერთქმედების წესი), ისე სხვა ფაქტორებზე (პროფესიონალიზმი, სამართალგამოყენებლის კულტურა და სხვ). საზოგადოების სამართლებრივი კულტურის დასახასიათებლად არსებითია იურიდიული აქტების მთელი სისტემის განვითარების დონე. კერძოდ, დოკუმენტთა ტექსტები, რომლებშიც გამოხატული და განმტკიცებულია მოცემული საზოგადოების სამართალი. შეფასებისთვის ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა გააჩნია საკანონმდებლო სისტემას, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუცია. ნებისმიერი იურიდიული აქტი უნდა იყოს სამართლებრივი – უნდა შეესაბამებოდეს მოცემული საზოგადოების წარმოდგენებს სამართლიანობაზე, თანასწორობასა და თავისუფლებზე. კანონი სრულყოფილი უნდა იყოს ფორმის მიხედვით: არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი, შეძლებისდაგვარად მოკლე, ნათელი და გასაგები მოსახლეობისათვის. იგი უნდა შეიცავდეს ძირითადი ტერმინებისა და ცნებების განმარტებებს, უნდა იყოს გამოქვეყნებული მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომ წყაროში და ა.შ. კანონის ხარისხზე მოწმობს მასში არსებული რეალიზაციის მექანიზმი (ინსტიტუციური, ორგანიზაციული, პროცედურული, საფინანსო-ეკონომიკური და სხვ.)

საზოგადოების სამართლებრივი კულტურის განსაზღვრის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების მდგომარეობაც. აქ იგულისხმება სამართალგამოყენებითი (სასამართლოს გადაწყვეტილება და განაჩენი, პროკურორების მიერ მიღებული აქტები, ადმინისტრაციულ-მმართველობით სფეროში მიღებული დოკუმენტები და ა.შ.) და სამართალსარეალიზაციო აქტები (სამეურნეო ბრუნვაში არსებული ხელშეკრულებები და სხვ.).

ზემოაღნიშნული სამართლებრივი აქტების, აგრეთვე სამართლებრივი ხასიათის სხვა ტექსტების (მაგალითად, სამართლებრივ თემებზე სამეცნიერო და პუბლიცისტური ტექსტები) ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა საზოგადოების არა მხოლოდ სამართლებრივი კულტურის, არამედ მთლიანად მისი კულტურის შესახებ.

სამართლებრივი კულტურა ადამიანის ცნობიერებაში განმტკიცებული მოტივაციების, ორიენტაციების, განწყობილებების ღირებულებითი სისტემაა, რომლებიც არეგულირებს მოქალაქეების ქცევებს სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში; მათ ინსტიტუციონალური მიდგომის საპირისპიროდ, რომლის მიხედვითაც სამართლებრივი სისტემა განსაზღვრავდა სამართლებრივ კულტურას და ყურადღების მიღმა ტოვებდა ადამიანების ქცევების, ორიენტაციების ზეგავლენას სამართლებრივ სისტემაზე. სამართლებრივი კულტურის განვითარების დონე (ტიპი) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ სისტემას და მმართველობით რეჟიმს.

სამართლებრივი კულტურის საფუძველზე შეიძლება განახორციელეს სამართლებრივი სისტემების კომპარატიული ანალიზი და დასაბამი მიეცეს შედარებითი სამართალმცოდნეობის განვითარებას.

სამართლებრივი კულტურა მოქალაქეთა ქცევის მოდელია, რომელიც ნათლად ვლინდება სხვადასხვა სოციალურ-სამართლებრივ პროცესში, ქცევის წესებში. სამართლებრივი კულტურის თავისებურებებს განაპირობებს ისტორიული, კულტურული, ეროვნული, რელიგიური და სამართლებრივი განვითარების სპეციფიკა. სამართლებრივი კულტურა განმსაზღვრელ გავლენას ახდენს სოციალურ-სამართლებრივი ინსტიტუტების და მთლიანად სამართლებრივი სისტემის განვითარებაზე; სამართლებრივი კულტურული განვითარების დონე (ტიპი) განაპირობებს საზოგადოების დემოკრატიულობის ხარისხს;

სამართლებრივი კულტურის განმსაზღვრელი გავლენა საზოგადოებრივი სისტემის ტრანსფორმაციის პროცესზე განაპირობებს მისი კვლევის აქტუალობას; სამართლებრივი კულტურის ცალკეული ტიპების შედარებითი ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ერთის მხრივ, სწორი ორიენტირები დავსახოთ საზოგადოების სამართლებრივი კულტურული რეფორმირების პროცესში, გავაძლიეროთ მონაწილეობითი სამოქალაქო კულტურის ელემენტები, მეორეს მხრივ, ავტორიტარული, დემოკრატიული, კულტურის თვალსაზრისით გავაანალიზოთ და შევისწავლოთ

ტრანსფორმირებადი ტიპის თანამედროვე საქართველოს სამართლებრივი კულტურა, რასაც თეორიული და პრაგმატული ღირებულება გააჩნია.

თანამედროვე ინფორმაციული სივრცის გაფართოებამ, კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარებამ, კომპიუტერიზაციამ, გამჭვირვალე გახადა სოციალურ-სამართლებრივი პროცესები; გაფართოვდა სამართლებრივი და რელიგიური პლურალიზმის არეალი; ნეოლიბერალურმა, ნეოკონსერვატორულმა და სოციალ-დემოკრატიულმა იდეოლოგიებმა გაზარდა პიროვნების თავისუფლებისა და ავტონომიურობის ხარისხი; იზრდება სამართლებრივი ქცევის ნორმების როლი, დემოკრატიული საბაზისო ღირებულებების ირგვლივ მოქალაქეთა კონსენსუალურობის, შემთანხმებლურობის ხარისხი; ამიტომ, დემოკრატიული სამართლებრივი კულტურის ცნებას შეიძლება დაემატოს ტერმინი შემთანხმებლური, რომელიც ზუსტად ასახავს მის არსობრივ მახასიათებელს – მაღალ კონსენსუალურობას.

კულტურა საზოგადოების ცხოვრების და სისტემის ორგანული ნაწილია და განსაზღვრავს კულტურული სფეროების ერთიანობას. კულტურის მრავალფეროვანი და რთული ფენომენის შესწავლის აუცილებლობა საზოგადოების სოციალურ-სამართლებრივი განვითარების მოთხოვნილებიდან მომდინარეობს.

სამართლებრივი კულტურა საზოგადოების სულიერების შემადგენელი ნაწილია და განსაზღვრავს სოციალ-სამართლებრივი სისტემის არსს, ძირითად სოციალურ-სამართლებრივ ფასეულობებს, განვითარების ტენდენციებს. იგი განაპირობებს პიროვნების სოციალურ-სამართლებრივ ღირებულებას, ასახავს სულიერი ცხოვრების მრავალფეროვნებას და, საბოლოო ჯამში, განსაზღვრავს საზოგადოების ცივილიზებულიობის ხარისხს.

უშუალო დემოკრატიის იდეების აღსრულება შესაძლოა ისეთ საზოგადოებაში, სადაც მოქალაქეები ფლობენ სათანადო განათლებასა და კულტურას, იცავენ სამართლის ნორმებს. ქცევის წესი დამკვიდრებულია მოცემული ხალხის ისტორიაში, ტრადიციებში, ადათებში, გამოცდილებებში. სამართლებრივ მართვის ხელოვნებას განსაკუთრებული ცოდნა სჭირდება, რადგანაც ვინც მართავს, ისინი უნდა სწავლობდნენ სოციალურ-სამართლებრივ პროცესებს და ერკვეოდნენ საზოგადოების განვითარების ტენდენციებში. კანონმდებელმა ზუსტად უნდა გათვალისწინოს თავისი იდეების რეალიზაციის დადებითი და უარყოფითი შედეგები საზოგადოებაზე. „პასუხისმგებლობის“ ეთიკის პრინციპები პირდაპირ თუ არაპირდაპირ კულტურის მნიშვნელოვან ელემენტად

შეიძლება მივიჩნიოთ. სამართალი შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც კულტურის განვითარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი.

სამართლებრივი კულტურის მეცნიერული კონცეფცია შედარებით მოგვიანებით, XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ამ დროს აშკარად გამოიკვეთა სამართლებრივი პროცესების, სამართლებრივი სისტემის ინსტიტუციონალური კვლევის ნაკლოვანება და შეზღუდულობა – ამ გზით სრულად ვერ შეისწავლებოდა სამართლებრივი ინსტიტუტების ყველა ასპექტი და საერთოდ ყურადღების მიღმა რჩებოდა ადამიანის ქცევების, მოტივების, განწყობების ზეგავლენა და როლი განვითარების პროცესზე.

სამართლებრივი კულტურა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ადამიანების ცნობიერებაში ღრმად განმტკიცებული მოტივაციების, ორიენტაციების, განწყობილებების ღირებულებითი სისტემა. იგი არეგულირებს ადამიანების ქცევებს სამართალთან დაკავშირებულ სიტუაციებში. სამართლებრივი კულტურა შეიძლება განვიხილოთ სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში გამოვლენილ ფსიქოლოგიური ორიენტაციებთან ერთობლივად, შეიძლება შემოვსაზღვროთ სამართლებრივი ცნობიერებისა და სამართლებრივი ფსიქოლოგიის სფეროთი.

სამართლებრივ ორიენტაციებში შედის: 1) „კოგნიტური ორიენტაციები“ ანუ ცოდნა და რწმენა სამართლებრივი სისტემის როლის, დანიშნულებისა და იმის შესახებ რასაც სისტემა იღებს გარედან და აძლევს მას; 2) „აფექტური ორიენტაციები“ ანუ სამართლებრივი სისტემის როლთან და მუშაობასთან დაკავშირებულ ადამიანებთან მიმართებაში წარმოშობილი გრძნობები; 3) „შეფასებითი ორიენტაციები“, მსჯელობები და აზრები სამართლებრივ ორიენტაციებზე, რომლებიც ჩვეულებრივად წარმოადგენს ღირებულებითი სტანდარტების და კრიტერიუმების, ინფორმაციის და გრძნობების კომბინაციას.

ინდივიდის სამართლებრივი ორიენტაციების სისტემატიზირება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შევისწავლით და გამოვავლენთ: 1. როგორ ცოდნას ფლობს ინდივიდი თავის ერზე, სამართლებრივ სისტემაზე, მის ისტორიაზე, „კონსტიტუციონალურ“ დახასიათებაზე და აშ. როგორია მისი გაცნობიერებული შეხედულებები და მსჯელობები მათზე; 2. რა იცის ინდივიდმა მრავალფეროვან სამართლებრივ სტრუქტურაზე და როლზე? როგორია მისი შეხედულებები ამ სტრუქტურებზე. 3. რა იცის ინდივიდმა სამართლებრივი იძულების პროცესზე, სტრუქტურაზე, გადაწყვეტილებებზე, ინდივიდებზე რომლებიც მოზიდულია ამ პროცესში? როგორია მისი შეხედულებები მასთან მიმართებაში?

4. როგორ აცნობიერებს თავის თავს ინდივიდი სამართლებრივი სისტემის ნაწილის როლში? რა იცის მან თავისი უფლებების, შესაძლებლობების, მოვალეობების და სისტემაზე შესაძლო გავლენის შესახებ? როგორ აღიქვამს იგი თავის შესაძლებლობებს? სამართლებრივი მსჯელობებისა და შეხედულებების გამოთქმისას მონაწილეობის რომელ ნორმებს იყენებს ინდივიდი?

ჩემი აზრით, სამართლებრივი კულტურა მრავალფეროვანი, მყარად განმეორებადი, კოგნიტური, აფექტური და შეფასებითი ორიენტაციების სისტემა საერთოდ სამართლებრივ ინსტიტუტებზე. იგი შედგება ემპირიული პოსტულატების სისტემისაგან, სიმბოლოებისა და ღირებულებებისგან, განსაზღვრული სიტუაციებით, რომელშიც მიმდინარეობს სამართლებრივი ქმედებები და ახდენს ინდივიდის სუბიექტურ ორიენტაციას სამართალში. სამართლებრივი ორიენტაციების სისტემური ანალიზის საფუძველზე ასევე შეიძლება განვასხვაოთ სამართლებრივი კულტურის ტიპები, რომლებიც განსაზღვრავენ სამართლებრივი სისტემის ხასიათს. სამართლებრივი კულტურა საერთო ეროვნული კულტურის ორგანული ნაწილია და მისი ცალკე გამოყოფა ხელოვნურ ხასიათს ატარებს. ეს აშკარად მეცნიერული კვლევის მიზნით არის გაკეთებული და არ შეესაბამება რეალურ სინამდვილეს. უფრო ზუსტი იქნებოდა „სამართლებრივი კულტურის“, „სამართლებრივი სუბკულტურის“ ნაცვლად გვესაუბრა საზოგადოების სულიერი კულტურის „სამართლებრივ ასპექტებზე“. ეჭვგარეშეა, რომ ყოველ საზოგადოებაში წამყვანია მმართველი ელიტის იდეალი, ღირებულებები და სამართალი. ამდენად, სამართლებრივი კულტურა ხელისუფლებაში მყოფი გარკვეული ძალების იდეოლოგიის და ნების ასახვა და თეორიულ-პრაქტიკული განმტკიცებაა.

სამართლებრივი კულტურის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ საზოგადოების განვითარების დონეზე, სოციუმის განვითარების ხარისხზე. თუ სამართლებრივ საქმიანობაში გამოვლენილი უნარი და ხერხები დაკავშირებული იქნება მორალურ ნორმებთან, მაშინ სამართლებრივი კულტურა იქნება სრული სახით გამოვლენილი საერთო კულტურა. ამიტომ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „სამართლებრივი კულტურა საზოგადოების სამართლებრივი ქცევების მოდელია, რომელიც ვლინდება ‘სამართლებრივი რეგლამენტაციის ქცევის წესებში’ და გამოხატავს კონკრეტული საზოგადოების ეროვნულ, ისტორიულ, რელიგიურ, კულტურულ და სამართლებრივი განვითარების თავისებურებებს“.

აქ მნიშვნელოვანია ორი არსებითი გარემოება: 1) სამართლებრივი ქცევის რომელი ასპექტებია მთავარი და განმსაზღვრელი

სამართლებრივი კულტურის განვითარების დონის შესაფასებლად. „სამართლებრივი რეგლამენტაციის წესები“ მიგვანიშნებს ქვეყანაში ფუნქციონირებადი დემოკრატიის ხარისხზე, ხოლო ხელისუფლებაზე კონტროლის ლეგიტიმური მექანიზმების არსებობა ასევე საზოგადოების სამართლებრივი განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორია; 2) სამართლებრივი კულტურის მრავალფეროვნება, რომელიც განსხვავებული სამართლებრივი კულტურის ტიპების თავისებურებებშია ასახული, უპირველეს ყოვლისა, კონკრეტული ქვეყნის განვითარების სპეციფიკიდან მომდინარეობს.

სამართლებრივი კულტურის ელემენტების ნაწილი, შედარებით მყარია, ხოლო ნაწილი უფრო იოლად ექვემდებარება ცვლილებებს, ანუ სამართლებრივი კულტურა შედგება „ძირითადი“, „განმსაზღვრელი“ და შედარებით სწრაფად ცვალებადი ელემენტებისაგან. სამართლებრივი კულტურა შედგება კომპონენტებისგან, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული სამართლებრივი კულტურის ხასიათს, განვითარების ტენდენციებს და დამხმარე ელემენტებისგან.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ სამართლებრივ კულტურაში შეიძლება გამოვაცალკევოთ ქცევითი, ღირებულებითი და განწყობითი კომპონენტები, კოგნიტური, აფექტური და შეფასებითი ორიენტაციები, სამართლებრივი ცნობიერების, სამართლებრივი ქცევის და სამართლებრივი ინტიტუტების ფუნქციონირების კულტურის ელემენტები, შემეცნებითი, მორალური შეფასებითი და ქცევითი ელემენტები, სამართლებრივი ორიენტაციები, გრძნობები, განწყობები, ჩვევები. მეცნიერთა ნაწილი მოცემული ხალხის სამართლებრივი კულტურის მთავარ კომპონენტებად მასში შემავალი სოციალურ ჯგუფების, რეგიონების, სხვადასხვა ეთნოსების სუბკულტურებს მოიაზრებს.

შეიძლება გამოვყოთ ელემენტების სამი ჯგუფი, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების სამართლებრივი კულტურის ხასიათს:

1. შემეცნებითი ელემენტები. ეს არის ცოდნა სამართალზე, რომელიც სამართლებრივი კულტურის საფუძველია. აქ იგულისხმება სამართლებრივი რეალობის, მისი განვითარების ტენდენციებისა და არსის ამსახველი ცოდნა. იურისტები მუდმივად უნდა სწავლობდნენ სოციალურ პროცესებს, საზოგადოების შიგნით არსებული ურთიერთობების მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ამისათვის საჭიროა, საზოგადოებრივი საქმიანობის სხვა სფეროსაგან განსხვავებით განსაკუთრებული ცოდნის მიღება.



სამართლებრივი ცოდნის საზომი სამართლებრივი განათლებაა. იგი გულისხმობს სამართლებრივი აზროვნების უნარზე დამყარებულ კონცეპტუალურ-ობიექტური ცოდნის მარაგს ადამიანის სამოქალაქო უფლებებზე, სამართლებრივ სისტემაზე, სამართლებრივ მოვლენებზე; ინფორმირებულობის დონეს და ა.შ.

2. ემოციურ-შეფასებითი ელემენტები. ისინი სამართლებრივი სისტემის ფუნქციონირების შედეგად გამოწვეული გრძნობაა, რომელიც გამოხატულია შეფასებების, შეხედულებების ფორმებში. მასში შედის ხელისუფლების საქმიანობის შეფასება. მაგალითად, თავიანთი სამართლებრივი სისტემით ამაცობს დიდი ბრიტანელების და ა.შ.შ.-ის მოქალაქეთა დაახლოებით 85%. მათ მიაჩნიათ, რომ მოქმედი სამართალი გამოხატავს ხალხის საერთო ინტერესებს, მიმდინარე პროცესების ადეკვატური სამართლებრივი რეგლამენტაციის შედეგად უმჯობესდება ცხოვრების დონე, ფართოვდება თითოეული მოქალაქის დემოკრატიული უფლებები; საპირისპირო დამოკიდებულება შეინიშნება ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის დიდი უმრავლესობა უნდობლობას გამოხატავს სამართლებრივი ინსტიტუტების მიმართ.

ემოციურ-შეფასებითი კომპონენტი გულისხმობს სამართლებრივი პრობლემის განსჯის თავისუფლებას, ანუ ადამიანები რამდენად ითავისებენ და გრძნობენ თავს უსაფრთხოდ, როდესაც მხარს უჭერენ ამა თუ იმ სამართლებრივ მოდელს. შეუძლიათ თუ არა მათ თავისუფლად დააფიქსირონ თავიანთი პოზიციები ნებისმიერ გარემოებაში და არ ჰქონდეთ საქმიანობის შეზღუდვის განცდა.

3. ქცევითი ელემენტები. ისინი მოქალაქეების სამართლებრივი ქცევის მოდელია, რომელიც სამართლებრივი ხასიათის გადამწყვეტილებებში მონაწილეობის სხვადასხვა ფორმების ერთობლიობას წარმოადგენს. იგი ნათლად ვლინდება ხელისუფლების სტრუქტურებთან ურთიერთობის ფორმების ლეგიტიმურობაში; მაღალი სამოქალაქო სამართლებრივი კულტურის მქონე ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, სამართლებრივი წესრიგის კრიტიკა სრულებითაც არ ნიშნავს სამართლებრივი სისტემის და ქვეყანაში დამკვიდრებული დემოკრატიის საბაზისო ღირებულებებისადმი დაპირისპირებას, როგორც ეს ხდება პოსტსოციალისტური სახელმწიფოების დიდ უმრავლესობაში, სადაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპი და დემოკრატიული სამართლებრივი ინსტიტუტები ტრანსფორმაცია-დამკვიდრების სტადიაშია.

პიროვნების სამართლებრივი ქცევა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს სახელმწიფო მართვაში მისი მონაწილეობის მისაღები



ფორმის შერჩევას; იმის რწმენას, რომ მას არაფორმალურ ორგანიზაციებში წევრობით, სასამართლო ორგანოების მეშვეობით, სახელმწიფო მართვაში ანდა თვითმმართველობაში მონაწილეობით შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ქვეყნის მმართველი ელიტის გადანაცვეტილებებზე.

განვითარებული სამოქალაქო სამართლებრივი კულტურის ტიპი მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს საზოგადოების სამართლებრივი და კულტურული განვითარების პროცესში. საბოლოო ჯამში, იგი განსაზღვრავს და განაპირობებს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დემოკრატიულად ფუნქციონირებას: დაბალი სამართლებრივი კულტურიდან გამომდინარე, შესაძლოა ავსხნათ სუპერსაპრეზიდენტო მმართველობის დომინანტური ხასიათი პოსტსაპქოთა რესპუბლიკების უმრავლესობაში, სადაც დიდია განსხვავება პრეზიდენტის კონსტიტუციურ და რეალურ ძალაუფლებას შორის.

შეიძლება გავამახვილოთ ყურადღება სამართლებრივი კულტურის აბსტრაქტული, იდეალური ტიპის ფუნქციებზე და ვისაუბროთ მათ რეალიზაციაში სახელმწიფო ორგანოების და ცალკეული ორგანიზაციების როლსა და დანიშნულებაზე.

ჩემი აზრით, სამართლებრივი კულტურის მდიდარი კონცეფციებისა და ასევე, განსხვავებული ტიპოლოგიის წარმოშობის მთავარი მიზეზია ის, რომ სხვადასხვა დარგის მკვლევარები განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომების საფუძველზე სწავლობენ მის ცალკეულ კომპონენტებს და ამიტომ, განსხვავებულ მოსაზრებებს გვთავაზობენ. სამართლებრივი კულტურის სტრუქტურული ელემენტები მუდმივი ცვალებადობის და განვითარების პროცესშია. ეს მნიშვნელოვნად ართულებს შედარებით ლოგიკური ტიპოლოგიის სქემის ჩამოყალიბებას. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სამართლებრივი კულტურის ცალკეული ტიპების დიფერენციაცია და გამოყოფა-კლასიფიკაცია შესაძლებელია, ვინაიდან სხვადასხვა ხალხების საზოგადოებრივ-სამართლებრივი მსოფლმხედველობა და კულტურული თანაცხოვრება ხანგრძლივი ისტორიული პროცესია და ბუნებრივია, წარმოშობს „საერთო ნიშნებს“ ცხოვრების წესსა და სულიერ კულტურაში. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა მოვახდინოთ სამართლებრივი კულტურების ზოგადი მოდელების და ტიპების კლასიფიკაცია, რომლებიც ძირითადი საბაზისო მაჩვენებლების მიხედვით მისადაგება კონკრეტული ქვეყნის ცხოვრებას. ტიპოლოგიის აუცილებლობა და მისი პრაგმატული მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ტრანსფორმირებადი სამართლებრივი სისტემის მქონე ქვეყ-

ნებისთვის, კონკრეტულად, თანამედროვე საქართველოსთვის. დასავლური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი კულტურის „იდეალური ტიპის“ შედარება ჩვენ რეალებთან, მნიშვნელოვანი ორიენტირი იქნება იმისთვის, თუ რაზე უნდა გაამახვილოს ევროინტეგრაციის პირობებში ყურადღება მმართველმა გუნდმა. რა გზით დავამკვიდროთ დემოკრატიული წესები ქვეყანაში; როგორ გავითავისოთ ეროვნული, სამართლებრივი სახელმწიფო, ავითვისოთ სახელმწიფოებრივი აზროვნების ნორმები.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე საქართველოს სამართლებრივი კულტურა ტრანსფორმაციის პროცესშია და გამოკვეთილი ერთიანი მყარი ფორმა არ გააჩნია, იგი ფრაგმენტული ხასიათისაა; გამოხატავს სხვადასხვა სამართლებრივ ღირებულებებს, ორიენტაციებს, განწყობებს, შეიცავს დაპირისპირებული ეთნიკურ-სამართლებრივ სუბკულტურებს. გარდამავალი პერიოდის წინააღმდეგობრივი ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოს სამართლებრივი კულტურის ერთ მხარეს არის ტოტალიტარული სამართლებრივი და კულტურული მემკვიდრეობისადმი დამახასიათებელი ქცევის სტერეოტიპები (განსაკუთრებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე: აფხაზეთსა და სამაჩაბლოში) მეორე მხარეს, ახალი, დემოკრატიული ღირებულებებისადმი შესაბამისი სამართლებრივი ორიენტაციები და კულტურული ორიენტირები; მათი ურთიერთქმედება მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს სამართლებრივი სისტემის სტაბილურობაზე. საქართველოს სამართლებრივი კულტურის ფრაგმენტული, არაერთგვაროვანი ხასიათიდან გამომდინარე, ძნელია განისაზღვროს მისი განვითარების ერთმნიშვნელოვანი მყარი მიმართულება: კერძოდ, ვისაუბროთ მხოლოდ დემოკრატიზაციის ან ავტორიტარიზაციის ტენდენციაზე; მისი წინააღმდეგობრივი ბუნებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ცალკეული სეგმენტების, ელემენტების პუნქტობრივი დახასიათება-ანალიზი.

ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ 1995 წლის საქართველოს კონსტიტუციაში დეკლარირებული იქნა ძირითადი დემოკრატიული ღირებულებები, ეს არ ნიშნავდა ტოტალიტარული ცნობიერებისა და კულტურისაგან საბოლოოდ თავის დაღწევას. საქართველოში ძალაუფლება გარკვეული დოზით გადაქაჩული იქნა აღმასრულებელ ხელისუფლებაში, რითაც დაკნინდა ხელისუფლების დანაწილების დემოკრატიული იდეა. ქვეყანა იქცა ძლიერ საპრეზიდენტო რესპუბლიკებად.

ქვეშევრდომული კულტურის მატარებელი აღმოჩნდა საქართველოს მოქალაქეების გარკვეული ნაწილი და ამის მიზეზი არ

იყო უნიგნურობა და სამართლებრივ სისტემაზე ბუნდოვანი წარმოდგენის ქონა. გარდამავალი პერიოდის საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების სპეციფიკამ დაადასტურა, რომ განათლებული ადამიანებიც შესაძლოა იყვნენ პატრიარქალური კულტურის მატარებლები. სამართლებრივი კულტურის წინააღმდეგობრივ ხასიათზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ საქართველოს სახელმწიფოებრიობასთან არაიდენტიფიცირებულ ეთნო სუბკულტურებს; მათი დაპირისპირების ხარისხი დღითიდღე მატულობს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში. საქართველოს სამართლებრივ კულტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს დასავლური ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ სეგმენტებს, სამოქალაქო კულტურის ელემენტებს: მოსახლეობის განათლების, კულტურის მაღალ დონეს, ეროვნულ და რელიგიურ ტოლერანტობას; ქართველთა „გაევეროპელება“ შესაძლებელია სწორედ ჩვენი კულტურის უპირატესად დასავლური ორიენტაციისა და ხასიათიდან გამომდინარე. სამართლებრივი კულტურის და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების გზაზე განმსაზღვრელი ფაქტორია ერის ინტელექტუალური პოტენციალი. ამ მაჩვენებლებით საქართველო „ამოვარდნილია“ აღმოსავლური კულტურის კონტექსტიდან და უფრო მეტად ევროპის განვითარებული ქვეყნების დონეს უახლოვდება. ამის საფუძველს იძლევა კულტურის სხვადასხვა სეგმენტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების ანალიზი, საერთაშორისო აღიარება და განვითარების პერსპექტივები. გათვალისწინებული უნდა იქნას ქართაველი ხალხის ისტორიული, სამართლებრივი, კულტურულ-ფსიქიკური განვითარების თავისებურებები; ქართულ ხასიათში ჩადებული ინდივიდუალიზმის ელემენტები, რაც ხშირად გამოვლინებას პოულობს უკიდურეს სამართლებრივ ორიენტაციებსა და ქცევებში.

სამართლებრივი ქცევის წესების, სამართლებრივი კონსენსუსის დადგენილი ნორმები ითვალისწინებს მოქმედ ძალებს შორის შეთანხმებას დემოკრატიის საბაზისო ღირებულებების ირგვლივ; იგი დროთა განმავლობაში ყალიბდება, ფუნქციონირებს კონსტიტუციური ნორმებით დასაშვებ ფარგლებში, სამართლებრივი, რელიგიური, ეთნიკური, კულტურული პლურალიზმის პირობებში; საქართველოში სამართლებრივი კონსენსუსი ასევე ემყარება სამართლებრივ ადათებს, მორალურ ქცევის ნორმებს, რომელიც მიღებულია ჩვენს საზოგადოებაში.

სამართლებრივი კულტურის ყველა შემადგენელი ნაწილი ვერ იარსებებს მისი მატარებელი-სუბიექტის – ადამიანის, ადამიანთა ჯგუფების, მთლიანად მოსახლეობის გარეშე. საზოგადოების სამართლებრივი კულტურა დამოკიდებულია სხვადასხვა

სოციალური და პროფესიული ჯგუფების, აგრეთვე ცალკეული ინდივიდების სამართლებრივი განვითარების დონეზე.

სამართლებრივი კულტურის ფორმირების პროცესი არ წარმოადგენს კულტურათა სხვა სახეებისაგან, – კერძოდ, პოლიტიკური, მორალური, ესთეტიკური კულტურებისაგან, – იზოლირებულ პროცესს. ეს კომპლექსური პრობლემაა. მათ აკავშირებს ამოცანის ერთიანობა: საზოგადოებაში მორალურ-სამართლებრივი კლიმატის შექმნა, რაც მოგვცემს პიროვნების რეალურად თავისუფალი ქცევისა, და იმავდროულად, საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობას.

ჩემი აზრით, სამართლებრივი კულტურა საერთო ეროვნული კულტურის ნაწილია. შეიძლება ითქვას, რომ იგი როგორც დამოუკიდებელი ფენომენი არ არსებობს და მისი გამოყოფა ხელოვნურ ხასიათს ატარებს. სამართლებრივი კულტურის შინაარსი შეიძლება გამდიდრდეს „სამართლებრივი იდეოლოგიის“, „ხალხის ფუნდამენტალური ღირებულებების“ ცნებებით; შეიძლება ასევე ვისაუბროდ სამართლებრივი კულტურის სოციალურ ასპექტებზე. იგი სამართლებრივი ღირებულებების, სამართლებრივი ქცევის აქტების ერთობლიობაა და ეხება ხელისუფლების და მოქალაქეების სამართლებრივ ურთიერთობებს; სამართლებრივი კულტურა სოციალური მალალი განვითარების საფეხურს წარმოადგენს; სამართლებრივი კულტურის ცნებაში განმსაზღვრელ მნიშვნელობას ენიჭება გამოცდილებას, ისტორიულად ჩამოყალიბებულ რწმენა-წარმოდგენებს სამართლებრივი ქცევის სტერეოტიპების შესახებ. მასში შეიძლება მოვიპოვოთ შემეცნებითი, ემოციურ-შეფასებით ქცევითი ელემენტების ერთობლიობა; ხოლო სამართლებრივი კულტურის ფუნქციებზე მსჯელობისას ინტეგრაციულ, ყურადღება გაავამახვილოთ კომუნიკაციურ, ნორმატიულ-სამართლებრივ, პროგნოზისტურ, აღმზრდელობით მომენტებზე.

ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს საქართველოს სამართლებრივი კულტურისა და განათლების მალალი დონე, რაც შესაბამისობაში არ მოდის განვითარებადი ქვეყნის ეკონომიკასთან; ყოველივე ამას ემატება ხელისუფლების ცალსახა დასავლური ორიენტაცია და საქართველოს მოსახლეობის არჩევანი, რაც საშუალებას მოგვცემს დაბალანსირებული პოლიტიკის გატარების პირობებში შემოქმედებითად ავითვისოთ დასავლური ღირებულებები, თავიდან ავიცილოთ ნაბაძვაზე ორიენტირებული „სამომხმარებლო ხალხის“ კულტურისა და ქცევის ელემენტები და განვახორციელოთ სამართლებრივი კულტურის მოდერნიზაცია.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭილაძე გ. კულტუროლოგიურ ურთიერთობებზე სამართლებრივი ზემოქმედებისა და კულტურის სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმის შესახებ. // კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე ჟურნალი “ამირანი”/ მონრეალი-თბილისი, 2007, № 17-18, გვ. 160–171
2. ჭილაძე გ. კულტურის სფეროში სამართლებრივი ვალდებულებების ზოგიერთი ასპექტი. // კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე ჟურნალი “ამირანი”/ მონრეალი-თბილისი, 2007, № 17-18, გვ. 172–187
3. ჭილაძე გ. საერთაშორისო საავტორო უფლებების განხორციელების კულტუროლოგიურ-სამართლებრივი ასპექტები კინემატოგრაფიულ და ფოტოგრაფიულ ნაწარმოებებზე // კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე ჟურნალი “ამირანი”/ მონრეალი-თბილისი, 2009, № 21, გვ. 216–231
4. ჭილაძე გ. საქართველოში ფოლკლორულ ნაწარმოებთა დაცვის ზოგიერთი კულტუროლოგიურ-სამართლებრივი ასპექტი // კავკასიოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მოამბე ჟურნალი “ამირანი”/ მონრეალი-თბილისი, 2009, № 21, გვ. 232–247
5. ხუბუა გ. სამართლის თეორია. თბ., 2004
6. სურგულაძე ი. ხელისუფლება და სამართალი. თბ., 2002
7. საქართველოს კანონი კულტურის შესახებ. თბ., 1997
8. Алмонд Г., Верба С. Гражданская культура и стабильность демократии. 1992, с. 597.
9. Чарльз Ф., Эндрейн. Сравнительный анализ политических систем. М. 2000, с.111.
10. Winston P. Nagan & Craig Hammer. Communications Theory and World Public Order: The Jurisprudential Foundations of International Human Rights, VA. J. INT’L L. (2007).
11. Winston Nagan and Judit Otvos, Legal Culture Confronts Science in Search of a New Paradigm of Humane Governance. The Expanding and Constraining Boundaries of Legal Space, Curvature of Time, and the Challenge of Globalization World Academy of Art and Science. Hyderabad, India October 16-October 20, 2008
12. Maria R Ruiz and Bryan Roche. Values and the Scientific Culture of Behavior Analysis// The Association for Behavior Analysis. Maria R Ruiz, Rollins College/ Behav Anal. 2007 Spring; 30(1): 1–16.

13. Michael J. Feuer, Lisa Towne and Richard J. Shavelson. Scientific Culture and Educational Research// Educational Researcher, Vol. 31, No. 8, pp. 4–14
14. Thompson E.P. Plebeische Kultur und moralische Okonomie Aufsätze zur englischen Sozial – geschichte des 18 und 19 Jahrhunderts. Frankfurt A.M., 1980, 377 S.
15. [www.maatlaw.org/press/06/pre201007.htm](http://www.maatlaw.org/press/06/pre201007.htm). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
16. [thefreelibrary.com/LSU Law Center starts](http://thefreelibrary.com/LSU%20Law%20Center%20starts). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
17. [www.everyculture.com/Ja-Ma/North-Korea.html](http://www.everyculture.com/Ja-Ma/North-Korea.html). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
18. [colbud hu/programme/calendar/event.shtml](http://colbud.hu/programme/calendar/event.shtml). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
19. [bheringadvogados.com.br/port/artigos/](http://bheringadvogados.com.br/port/artigos/). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
20. [www.vsi.ru/~alurcons](http://www.vsi.ru/~alurcons). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
21. [www.e-college.ru/xbooks/xbook055/book/part-006/page.htm](http://www.e-college.ru/xbooks/xbook055/book/part-006/page.htm). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
22. [www.livescience.com/culture](http://www.livescience.com/culture). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
23. [issues.tigweb.org/culture](http://issues.tigweb.org/culture). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
24. [www.sociosite.net/topics/culture.php](http://www.sociosite.net/topics/culture.php). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010
25. [www.gumer.info/bibliotek\\_Buks/History/Article/tomp\\_pleb.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/History/Article/tomp_pleb.php). უკანასკნელად გადამონმდა 05.08.2010